დამტკიცებულია 2016 წლის 5 აგვისტოს აკადემიური საბჭოს მიერ ოქმი #16-16

სოციალურ მეცნიერებათა სკოლა პლაგიატის შესახებ

რა არის პლაგიატი?

პლაგიატი ნიშნავს სხვა ადამიანის ნაშრომის გამოყენებას ავტორის მითითების გარეშე. თუკი იყენებთ სხვის სიტყვებს, მოახდინეთ ციტირება - ჩასვით ისინი ბრჭყალებში და მიუთითეთ წყარო. წყაროს მითითება მაშინაც საჭიროა, როდესაც თქვენი სიტყვებით გადმოსცემთ სხვა ადამიანის აზრს, ანუ ახდენთ პერიფრაზირებას.

„ნაშრომში“ იგულისხმება სხვა ადამიანების სიტყვები, აზრები (დაწერილი ან ნათქვამი), გრაფიკული გამოსახულება, ცხრილი, დიაგრამა, ნახატი, სხვადასხვა სახის მონაცემები, ვებ გვერდზე არსებული ინფორმაცია, სატელევიზიო გადაცემა და სხვა.

„წყაროში“ იგულისხმება როგორც გამოქვეყნებული (წიგნი, სტატია, გაზეთი, სახელმძღვანელო, ვებ გვერდი, ფილმი და სხვა), ასევე გამოუქვეყნებელი მასალა (სტუდენტის ნაშრომი, ბლოგი, ლექციის ჩანაწერები, კონსპექტი, ლექცია, ზეპირი სიტყვა და სხვა). სხვათა სიტყვების, აზრების ან რაიმე სახის ნაშრომის გამოყენება ავტორის მითითების გარეშე პლაგიატია. ყოველთვის, როდესაც იყენებთ ნებისმიერი სახის წყაროს მიერ მოწოდებულ ინფორმაციას, მიუთითეთ წყარო.

ციტირებისა და პერიფრაზირების წესებისათვის იხილეთ დოკუმენტი „ციტირების წესი საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სოციალურ მეცნიერებათა სკოლის პროგრამების ფარგლებში მომზადებული ნაშრომებისათვის“.

პლაგიატის მაგალითები:

- აბზაცების, წინადადებების ან წინადადებების ნაწილების სიტყვა-სიტყვით გადაწერა, ციტირების და წყაროს მითითების გარეშე;
- აბზაცების ან წინადადებების პერიფრაზირება წყაროს მითითების გარეშე;
- სხვა ადამიანის აზრის, ნამუშევრის, მონაცემების ან კვლევის გამოყენება წყაროს მითითების გარეშე;
- ვებგვერდიდან ტექსტის ან ცხრილის დაკოპირება წყაროს მითითების გარეშე;
- სხვა ადამიანის მიერ ზეპირად გამოთქმული აზრის გამოყენება წყაროს მითითების გარეშე;
- სხვა ადამიანის მიერ მომზადებული ნაშრომის გამოყენება წყაროს მითითების გარეშე.

სხვა ადამიანების მიერ მომზადებული ნაშრომის გამოყენება არ ნიშნავს პლაგიატს, თუკი მიუთითებთ წყაროს და სწორად მოახდენთ ციტირებას ან პერიფრაზირებას. წყაროს მითითება მკითხველს აძლევს საშუალებას, საჭიროების შემთხვევაში მოძებნოს თქვენს მიერ გამოყენებული მასალა.

რატომ არის პლაგიატი მიუღებელი?

- პლაგიატი არაკეთილსინდისიერი საქციელია, რადგან პლაგიატის ჩამდენი სხვის საკუთრებას - ნამუშევარს ითვისებს;
- პლაგიატი ეწინააღმდეგება სოციალურ მეცნიერებათა სკოლის რეგულაციებს და ექვემდებარება სანქციებს, მათ შორის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტას;
- პლაგიატის გამო ხდება სხვათა ნაშრომების გაუფასურება - პროფესიონალის ნაშრომის მითვისების/გამოყენების შემთხვევაში მოცემული სტუდენტის ნაშრომთან შედარებით სხვათა ნაშრომები, რომლებმაც თავად შეასრულეს სამუშაო, შესაძლოა ნაკლებად ღირებული ჩანდეს;
- სკოლის რეპუტაცია ახდენს გავლენას თქვენს ბაკალავრის/მაგისტრის ხარისხზე - აკადემიური არაკეთილსინდისიერება ზიანს აყენებს სკოლის რეპუტაციას და ამცირებს თქვენი დიპლომის ღირებულებას;
-

- პლაგიატით ზიანს აყენებთ საკუთარ თავს - ვერ სწავლობთ, როგორ გადმოსცეთ საკუთარი აზრები თქვენი სიტყვებით და, შესაბამისად, არ იღებთ რელევანტურ რჩევებს ლექტორისაგან.

პლაგიატი ისჯება

ზოგ შემთხვევაში პლაგიატი ხდება, როდესაც სტუდენტმა არ იცის, როგორ გამოიყენოს სწორად წყაროები, თუმცა არცოდნა არ ათავისუფლებს სტუდენტს პასუხისმგებლობისგან. როგორც წინასწარგანზრახული, ასევე უნებლიე პლაგიატი, ექვემდებარება დისციპლინურ სანქციებს, მათ შორის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტას.

როგორ ავირიდოთ თავიდან პლაგიატი?

- სხვა ავტორის მასალის გამოყენების შემთხვევაში, მიუთითეთ წყარო. იმისდა მიუხედავად, მოგაქვთ პირდაპირი ციტატა, თუ აკეთებთ პერიფრაზირებას (გადმოსცემთ სხვის აზრს თქვენი სიტყვებით), ავტორის მითითება აუცილებელია. არ აქვს მნიშვნელობა, სად იპოვეთ პირველწყარო - ინტერნეტში თუ ენციკლოპედიაში.
- მოერიდეთ მცირედ, „კოსმეტიკურ“ ცვლილებებს. მაგალითად, რამდენიმე სიტყვის ან წინადადების წყობის შეცვლა არ ნიშნავს, რომ პლაგიატს ადგილი არ ქონია. თუ აზრი ძირითადად იგივეა, რაც პირველწყაროში, მიუთითეთ ავტორი.
- გადმოეცით აზრი საკუთარი სიტყვებით. როდესაც არ მოგაქვთ პირდაპირი ციტატა და ახდენთ პერიფრაზირებას, რამდენიმე სიტყვის შეცვლა საკმარისი არ არის, თუნდაც უთითებდეთ ავტორს. პერიფრაზირებისას დახურეთ წყარო და წერეთ საკუთარი სიტყვებით, არ გამოიყენოთ იგივე სიტყვები და წინადადების წყობა, რაც პირველწყაროშია.
- „ზოგადი ცოდნის“ ციტირება არ არის საჭირო. თუ იყენებთ ინფორმაციას, რომელიც შეიძლება „ზოგად ცოდნას“ მივაკუთვნოთ, ანუ საზოგადოდ ცნობილია, წყაროს მითითება არ არის საჭირო. მაგალითად, ის რომ შოთა რუსთაველმა დაწერა ვეფხისტყაოსანი, ზოგადი ცოდნაა.
- როდესაც ეჭვი გეპარებათ - მიუთითეთ წყარო. სჯობს მიუთითოთ წყარო, როდესაც ეს საჭირო არ იყო, ვიდრე პირიქით.

დოკუმენტი მომზადებულია კალიფორნიის უნივერსიტეტის (დევისი) მასალების გამოყენებით:
http://sja.ucdavis.edu/files/plagiarism.pdf

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა სკოლის სოციალურ
მეცნიერებათა სკოლის

დეკანი : ნესტან ციციშვილი

საქართველოს საზოგადოებრივ
საქმეთა ინსტიტუტი
ბროსეს ქ. 2
0108 თბილისი, საქართველო
საიდენტიფიკაციო კოდი 204429341

2 45 75 45
admin@gipa.ge, www.gipa.ge

Georgian Institute of Public Affairs
Brosset Str. 2
0108 Tbilisi, Georgia
Identification Number 204429341